



Accountants &  
business advisers

## შპს „ნიკორა ტრეიდი“

კონსოლიდირებული ფინანსური  
ანგარიშგება

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

*შინაარსი*

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა .....	3
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე .....	4
კონსოლიდირებული ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ .....	6
სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება .....	7
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება .....	8
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება .....	10
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები .....	11

### ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს „ნიკორა ტრეიდი“ ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- \* ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- \* სათანადო სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მის თანმიმდევრულ გატარებას;
- \* გონივრული და წინდახედული მოსაზრებების და შეფასებების გაკეთებას;
- \* ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია შემდეგზე:

- \* შიდა კონტროლის ეფექტური სისტემის შექმნა, დანერგვა და შენარჩუნება;
- \* სათანადო სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად;
- \* ჯგუფის აქტივების დასაცავად მათთვის კეთილგონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ზომების მიღება; და
- \* გაყალბების და სხვა დარღვევების თავიდან აცილება და გამოვლენა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით:

დავით ურუშაძე



აღმსარულებელი დირექტორი  
შპს „ნიკორა ტრეიდი“  
თარიღი: 2016 წლის 28 ოქტომბერი



**დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვაზე**

**1. ფინანსური ანგარიშგების იდენტიფიცირება**

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ნიკორა ტრეიდის“ და მისი შვილობილი კომპანიების (ერთად „ჯგუფი“) 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. ჯგუფის 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ უწყისს 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას ზემოაღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

**2. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და წარდგენას, რომელიც არ შეიცავს შეცდომებით თუ თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს; შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკების შერჩევას, მათ მიზანმიმართულად გამოყენებას და სიტუაციისათვის შესაბამისი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას.

**3. აუდიტორის პასუხისმგებლობა**

ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვით მოსაზრება წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. აღნიშნული აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომელიც ჩვენგან მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აუდიტი მოიცავს პროცედურებს აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე. კონკრეტული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, რაც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომებით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკის შეფასებას. რისკის ასეთი შეფასებისას, აუდიტორი განიხილავს იმ შიდა კონტროლის მექანიზმებს, რომელიც მნიშვნელოვანი და შესაფერისია კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რათა დაგეგმოს არსებული პირობებისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოხატოს საკუთარი მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი აგრეთვე მოიცავს გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაფერისობის შეფასებასა და მენეჯმენტის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობის, ასევე მთლიანობაში ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი მოდიფიცირებული დასკვნისათვის.

*(გაგრძელება შემდეგ გვერდზე)*

**დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვაზე (გაგრძელება)****4. პირობითი მოსაზრების საფუძველი**

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში 2015 წლის 31 დეკემბრისათვის ჩართულია გუდვილი 38,226,652 ლარის ოდენობით, საიდანაც 36,628,029 ლარი დაკავშირებულია 2015 წელს შპს „ნიკორა ტრეიდის“ (სათაო კომპანია) მიერ შპს „ნუგეშის“ (შვილობლი კომპანია) 100% წილის შესყიდვასთან. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გუდვილის ღირებულება შეძენისას დათვლია როგორც სხვაობა შპს ნუგეშის შეძენისას შპს „ნიკორა ტრეიდის“ მიერ გადახდილ ანაზღაურებასა და შეძენის მომენტში შეძენილი კომპანიის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სააღრიცხვო ღირებულებას შორის. გუდვილის ღირებულების განსაზღვრის ასეთი მეთოდი არ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც მოითხოვს, რომ გუდვილის ღირებულება განისაზღვროს როგორც სხვაობა შეძენისას გადახდილ ანაზღაურებასა და შეძენილი კომპანიის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებას შორის შეძენის თარიღისათვის. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები შპს „ნუგეშის“ იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებაზე შეძენის თარიღისათვის, შესაბამისად ჩვენ ვერ დავრწმუნდით საჭიროა თუ არა რაიმე კორექტირება აღიარებული გუდვილისა და შეძენილი კომპანიის ძირითადი საშუალებების, მორაგების, სავაჭრო მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნაშთებს შორის თანხების გადანაწილების კუთხით შეძენის თარიღისათვის. ჩვენს მიერ გუდვილის გაუფასურების შეფასების მიზნით ჩატარებული პროცედურების შედეგად ჩვენ დავასკვნით, რომ კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღიარებული გუდვილი არ არის გაუფასურებული.

**5. პირობითი მოსაზრება**

ჩვენი აზრით, გარდა იმ ეფექტისა, რაც შესაძლოა ფინანსურ ანგარიშგებაზე ქონოდა „დასკვნის მოდიფიცირების საფუძვლების“ აზრით აღწერილ საკითხს, ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი საკითხის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრისათვის, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

PKF Georgia LLC

PKF Georgia LLC

თარიღი: 2016 წლის 28 ოქტომბერი

შპს „ნიკორა ტრედი“

კონსოლიდირებული ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2015 წელი	31 დეკემბერი, 2014 წელი
<b>აქტივები</b>			
<b>მოკლევადიანი აქტივები</b>			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4	1,103,674	613,574
დებიტორული დავალიანება	5	2,637,981	201,601
ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები	6	330,902	147,597
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		546,325	328,237
წინასწარ გადახდილი საოპერაციო გადასახადები		-	664,082
მარაგები	7	13,969,078	5,597,994
<b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>		<b>18,587,960</b>	<b>7,553,085</b>
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>			
ძირითადი საშუალებები	8	20,415,111	8,401,569
არამატერიალური აქტივები		1,703,601	712,068
გუდვილი	9	38,226,652	1,598,623
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>		<b>60,345,364</b>	<b>10,712,260</b>
<b>სულ აქტივები</b>		<b>78,933,324</b>	<b>18,265,345</b>
<b>ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b>			
<b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>			
საბანკო ოვერდრაფტი		1,507,199	1,323,254
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	10	24,996,306	8,227,624
თანამშრომლების მიმართ ვალდებულებები		12,547	125,282
მიმდინარე სესხები და გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	11	9,828,429	2,050,361
გადასახდელი საოპერაციო გადასახადები		161,859	99,626
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		80,189	8,524
<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>		<b>36,586,529</b>	<b>11,834,671</b>
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>			
გრძელვადიანი სესხები	11	29,105,565	3,310,187
გადავადებული გადასახადი	12	201,498	721,511
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>		<b>29,307,063</b>	<b>4,031,698</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>65,893,592</b>	<b>15,866,369</b>
<b>საკუთარი კაპიტალი</b>			
საწესდებო კაპიტალი		19,596,980	2,000,000
აკუმულირებული მოგება / ზარალი		(6,836,369)	383,495
გადაფასების რეზერვი		272,128	-
არამაკონტროლებელი წილი		6,993	15,481
<b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>		<b>13,039,732</b>	<b>2,398,976</b>
<b>სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b>		<b>78,933,324</b>	<b>18,265,345</b>

დავით ურუშაძე

*Handwritten signature*

აღმასრულებელი დირექტორი

თარიღი: 2016 წლის 28 ოქტომბერი

შპს „ნიკორა ტრედი“

სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2015 წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ლარებში

	შენიშვნა	2015 წელი	2014 წელი
შემოსავალი		171,993,287	99,207,192
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(134,446,351)	(77,233,384)
საერთო მოგება		37,546,936	21,973,808
დისტრიბუცია და მარკეტინგის ხარჯები	13	(30,785,510)	(15,732,708)
ადმინისტრაციული ხარჯები	14	(10,604,071)	(5,536,216)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		(3,842,645)	704,884
ფინანსური ხარჯები		(2,553,642)	(288,156)
სხვა ფინანსური ხარჯები	15	(2,767,608)	(250,999)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		1,405,507	1,315,697
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(7,758,388)	1,481,426
მოგების გადასახადი	12	568,036	(311,000)
წლის წმინდა მოგება		(7,190,352)	1,170,426
სხვა გაერთიანებული შემოსავლები			
ერთეულები, რომლებიც არ არის დაკლასიფიცირებული როგორც მოგება ან ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასება		272,128	-
სხვა გაერთიანებული შემოსავალი მოგების გადასახადის გარეშე		272,128	-
სულ გაერთიანებული შემოსავალი		(6,918,224)	1,170,426
<i>წმინდა მოგება, რომელიც კუთვნიან:</i>			
მშობელი კომპანიის მფლობელებს		(7,181,864)	1,318,887
არამაკონტროლებელ წილს		(8,488)	(148,461)
<i>სულ გაერთიანებული შემოსავალი, რომელიც კუთვნიან:</i>			
მშობელი კომპანიის მფლობელებს		(6,909,736)	1,318,887
არამაკონტროლებელ წილს		(8,488)	(148,461)

დავით ურუშაძე

აღმასრულებელი დირექტორი

თარიღი: 2016 წლის 28 ოქტომბერი

*დ. ურუშაძე*

შპს „ნიკორა ტრედი“

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2015 წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ლარებში

ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან	შენიშვნა	2015 წელი	2014 წელი
ფულადი სახსრები გაყიდვებიდან		194,033,338	110,920,267
სხვა საოპერაციო ფულადი სახსრების შემოდინება (ქირა, პროცენტი გაყიდვებიდან, სხვა)		5,952,477	4,911,282
სხვა ფულადი სახსრების შემოდინება		272,268	267,203
მთლიანი საოპერაციო ფულადი სახსრების შემოდინება		200,258,083	116,098,752
ნაღდი ფული გადახდილი მარაგების შექმნაზე		(158,947,215)	(91,415,744)
ნაღდი ფული გადახდილი ხელფასებზე, პრემიებზე და სხვა პერსონალის ხარჯები		(11,796,929)	(6,509,694)
ნაღდი ფული გადახდილი საოპერაციო იჯარაზე		(11,581,227)	(4,288,396)
ნაღდი ფული გადახდილი გადასახადებზე		(4,119,343)	(4,268,643)
ნაღდი ფული გადახდილი კომუნალურ მომსახურებებზე		(3,794,200)	(1,656,314)
ნაღდი ფული გადახდილი შეფუთვისა და გასავალ მასალებზე		(1,792,792)	(1,239,873)
ნაღდი ფული გადახდილი დაცვის მომსახურებაზე		(654,988)	(606,095)
ნაღდი ფული გადახდილი სარემონტო სამუშაოებზე		(548,901)	(278,566)
ნაღდი ფული გადახდილი მარკეტინგულ მომსახურებაზე		(573,979)	(228,729)
ნაღდი ფული გადახდილი საკომუნიკაციო მომსახურებაზე		(386,050)	(110,306)
ნაღდი ფული გადახდილი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე		(259,098)	(140,508)
ნაღდი ფული გადახდილი წარმომადგენლობით ხარჯებზე		(176,892)	(19,120)
ნაღდი ფული გადახდილი ტერმინალით მუშაობის საკომისიოზე		(794,570)	(334,503)
ნაღდი ფული გადახდილი სხვა ხარჯებზე		(2,840,835)	(104,669)
საოპერაციო ფულადი სახსრების გადინება		(198,267,019)	(111,201,158)
მოგების გადასახადის გადახდა		-	(408,000)
<b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		<b>1,991,064</b>	<b>4,489,593</b>
<b>ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან</b>			
ნაღდი ფული მიღებული ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		2,684,416	1,890,141
ნაღდი ფული გადახდილი ძირითადი საშუალებების შექმნაზე		(12,989,007)	(5,179,416)
შვილობილი კომპანიის შექმნაში გადახდილი ფული, შექმნილი ფულადი სახსრების გამოკლებით		(34,239,726)	(1,924,329)
<b>წმინდა ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		<b>(44,544,317)</b>	<b>(5,213,604)</b>

(გაგრძელება შემდეგ გვერდზე)

შპს „ნიკორა ტრედი“

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება (გაგრძელება)

2015 წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ლარებში

ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან	2015 წელი	2014 წელი
კაპიტალში შეტანილი ფულადი სახსრები	17,660,820	-
ნაღდი ფულის შემოღობვა სესხებიდან	58,040,545	2,985,971
ნაღდი ფული გადახდილი სესხებზე პროცენტების დასაფარად	(2,417,176)	(916,519)
ნაღდი ფული გადახდილი სესხის ძირითადი თანხის დასაფარად	(30,386,781)	(452,943)
ნაღდი ფული გადახდილი მფლობელებისთვის დივიდენდების სახით	(38,000)	(2,260,000)
საბანკო ოვერდრაფტი განაღდებული	183,945	1,323,254
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური ოპერაციებიდან	43,043,353	679,763
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	490,100	(44,248)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	613,574	657,823
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	1,103,674	613,574

დავით ურუშაძე

*დ. ურუშაძე*

აღმასრულებელი დირექტორი  
თარიღი: 2016 წლის 28 ოქტომბერი

შპს „ნიკორა ტრეიდი“

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2015 წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ლარებში

	სათაო კომპანიის მფლობელებზე მისაკუთვნიებული			სულ	არამაკონტრო- ლებელი წილი	სულ კაპიტალი
	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირ ებული მოგება /(ზარალი)	გადაფასების რეზერვი			
2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,000,000	1,324,608	-	3,324,609	-	3,324,609
ბიზნესის გაერთიანება	-	-	-	-	163,942	163,942
წმინდა მოგება/(ზარალი) წლის განმავლობაში	-	1,318,887	-	1,318,887	(148,461)	1,170,426
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	-	-
დივიდენდების გადახდა	-	(2,260,000)	-	(2,260,000)	-	(2,260,000)
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000,000	383,495	-	2,383,495	15,481	2,398,976
კაპიტალში შენატანები	17,596,980	-	-	17,596,980	-	17,596,980
ბიზნესის გაერთიანება	-	-	-	-	-	-
დივიდენდების გადახდა	-	(38,000)	-	(38,000)	-	(38,000)
წმინდა მოგება/(ზარალი) წლის განმავლობაში	-	(7,181,864)	-	(7,181,864)	(8,488)	(7,190,352)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	272,128	272,128	-	272,128
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	19,596,980	(6,836,369)	272,128	13,032,739	6,993	13,039,732

დავით ურუშაძე

*Handwritten signature*

აღმასრულებელი დირექტორი  
თარიღი: 2016 წლის 28 ოქტომბერი

## შპს „ნიკორა ტრეიდი“

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2015 წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ლარებში

#### 1. დაფუძნება და ძირითადი საქმიანობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „ნიკორა ტრეიდის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების – შპს „ლაზი ჰოლდინგის“ და შპს „ნუგეშის“ – ფინანსურ ინფორმაციას.

შპს „ნიკორა ტრეიდი“ არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც საქმიანობას ახორციელებს მისამართზე: თბილისი, მ. ქავთარაძის ქუჩა #11.

შპს „ნიკორა ტრეიდი“ ფლობს 67%-იან წილს საქართველოში რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლაზი ჰოლდინგში“, რომელიც საქმიანობას ახორციელებს მისამართზე: საქართველო, ზუგდიდი, ცაბაძის ქუჩა #67 და აგრეთვე 100% წილს შპს „ნუგეშში“, რომელიც 2015 წელს შეიქმნა.

შპს „ნიკორა ტრეიდის“ 100%-იანი წილის მფლობელი არის საქართველოში დაფუძნებული და რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება „ნიკორა“.

ჯგუფი ფლობს საცალო ვაჭრობის მაღაზიათა ქსელს საქართველოში. „ნიკორა ტრეიდი“ არის ერთ-ერთი ლიდერი კომპანია საქართველოს საცალო ბაზარზე.

#### 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

##### 2.1. მომზადების საფუძველი

თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ მიღებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (ერთობლივად ფასს) შესაბამისად.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების აღრიცხვის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, რომლისთვისაც შეფასების სხვა საფუძველი კონკრეტულად არის მითითებული წინამდებარე შენიშვნებში.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ პირობით, რომ ჯგუფი საქმიანობას გააგრძელებს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

ჯგუფის ფინანსური წელი მთავრდება 31 დეკემბერს.

##### 2.2. წარდგენის ცვლილება

ჯგუფის მფლობელმა კომპანიამ, სს ნიკორამ, მიმდინარე წელს დაიწყო კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა. სს ნიკორას ჯგუფში შეძველი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებების უფრო ეფექტური კონსოლიდაციის მიზნით საჭიროდ იქნა მიჩნეული შპს ნიკორა ტრეიდის და მისი შვილობილი კომპანიის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მოგება-ზარალის ანგარიშგების ფორმატის შეცვლა, უფრო დიდი ჯგუფის ფორმატის შესაბამისად. ამდენად წინამდებარე ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგება-ზარალის (და დაკავშირებული ახსნა-განმარტებითი დეტალების) ფორმატი განსხვავებულია წინა საანგარიშგებო წელს წარდგენილი ფორმატისაგან.

## შპს „ნიკორა ტრედი“

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2015 წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ლარებში

#### 2.3. გამოცემული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელიც ჯერ არ შესულა ძალაში

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთელი რიგი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები ჯერ კიდევ არ არის ამოქმედებული. ყველა ახალი სტანდარტი, ინტერპრეტაცია და შესწორება გავლენას მოახდენს ჯგუფის საქმიანობაზე. ჯგუფი გეგმავს ამოქმედებისთანავე დანერგოს ყველა ახალი სტანდარტი, ინტერპრეტაცია და შესწორება.

##### ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

2014 წლის ივლისში გამოქვეყნებული ფასს 9 ჩაანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები“. ანგარიშგებაში აღიარება და შეფასება. ფასს 9 მოიცავს შესწორებულ მოთხოვნებს ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების შესახებ, მათ შორის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ახალ მოდელს, რომლის საფუძველზეც მოხდება ფინანსურ აქტივებზე უარყოფითი გავლენის შეფასება, და ჰეჯირების აღრიცხვის ახალ ზოგად მოთხოვნებს. ფასს 9-ში ასევე გადმოტანილია ბასს 39-ის ფინანსური ინსტრუმენტების აღიარებისა და აღიარების გაუქმების მოთხოვნები. ფასს 9 გავრცელდება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებულ წლიურ საანგარიშო პერიოდებზე, თუმცა დასაშვებია მისი უფრო ადრეც მიღება.

ჯგუფი ამჟამად აფასებს ფასს 9-ს გამოყენებით გამოწვეულ პოტენციურ გავლენას თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

##### ფასს 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“

ფასს 15 ადგენს კომპლექსურ სტრუქტურას იმის განსაზღვრისთვის, თუ რა მოცულობით და როდის ხდება ან ხდება თუ არა შემოსავლის აღიარება. ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ მოთხოვნას, მათ შორის შემდეგ სტანდარტებს: ბასს 18 „შემოსავლები“, ბასს 11 „სამშენებლო კონტრაქტები“ და ფასს 13 „კლიენტთა ლოიალურობის პროგრამები“. ახალი სტანდარტის ძირითადი პრინციპი ის არის, რომ ორგანიზაცია აღიარებს შემოსავლებს, რათა ასახოს კლიენტისთვის დაპირებული მომსახურების ან საქონლის მიწოდება იმ თანხის ფარგლებში, რომელზეც ორგანიზაცია უფლებამოსილი იქნება კლიენტისთვის საქონლის გადაცემის ან მომსახურების გაწევის სანაცვლოდ. ახალი სტანდარტის დანერგვის შედეგად შემოსავლების შესახებ ინფორმაცია მთლიანად საჯარო გახდება. ახალი სტანდარტი მოიცავს მითითებას ისეთ ტრანზაქციებზე, რომელიც მანამდე არ იყო კომპლექსურად განხილული, ასევე უფრო სრულყოფილ მითითებას მრავალკომპონენტთან შეთანხმებებზე. ფასს 15 გავრცელდება 2017 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებულ წლიურ საანგარიშო პერიოდებზე, თუმცა დასაშვებია მისი უფრო ადრეც მიღება.

ჯგუფი ამჟამად აფასებს ფასს 15-ის გამოყენებით გამოწვეულ პოტენციურ გავლენას თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სხვადასხვა გადასინჯული ფასს განხილულია თანმიმდევრულად. ყველა ცვლილება, რომელიც იწვევს საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებულ ცვლილებებს წარდგენის, აღიარების ან შეფასების მიზნებისთვის, ძალაში შედის არაუადრეს 2016 წლის 1 იანვრისა. კომპანიას ჯერ არ გაუკეთებია იმის ანალიზი, თუ რა სავარაუდო გავლენას მოახდენს ეს გადასინჯვა თავის ფინანსურ მდგომარეობაზე ან საქმიანობაზე.

#### 2.4. კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანიები, ანუ ის ორგანიზაციები, რომლებშიც კომპანიას გააჩნია ინტერესი ნახევარზე მეტი ხმის უფლებით, ან კომპანიას სხვაგვარად აქვს უფლება განახორციელოს კონტროლი მათ ფინანსურ და საოპერაციო პოლიტიკაზე მათი საქმიანობიდან სარგებელის მიღების მიზნით, კონსოლიდირებულები

## შპს „ნიკორა ტრეიდი“

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2015 წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ლარებში

არიან. შესყიდვის ან შეძენის დროს ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი გამოიყენება ჯგუფის მიერ შეიღობილი კომპანიების შეძენისთვის ბუღალტრული აღრიცხვის უზრუნველსაყოფად. შეძენის ხარჯები ფასდება, როგორც გაცვლის თარიღისთვის გადაცემული აქტივების, გამოშვებული წილობრივი ფინანსური ინსტრუმენტების და დაკისრებული ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება. ჯგუფის კომპანიებს შორის ტრანზაქციების შედეგად არსებული ყველა ნაშთი, შიდა გარიგება, შემოსავალი და ხარჯი სრულად იქნება ლიკვიდირებული.

შვილობილ კომპანიებში არასაკონტროლო პაკეტის შესახებ ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილია მშობელი კომპანიის მფლობელებისთვის განკუთვნილი კაპიტალისგან გამოყოფილად. არასაკონტროლო პაკეტის მფლობელი აქციონერები თავდაპირველად შეიძლება შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით ან არასაკონტროლო პაკეტის მქონე აქციონერების წილის პროპორციულად, შეძენილი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულებით. შეფასების საფუძვლების შერჩევა შესაძლებელია თითოეული შეძენის შემთხვევაში ინდივიდუალურად. შეძენის შემდეგ, არასაკონტროლო პაკეტის საბალანსო ღირებულება იქნება თავდაპირველი აღიარების დროს ამ პაკეტის ოდენობა პლუს საკუთარ კაპიტალში შემდგომი ცვლილებების წილი. მთლიანი სრული შემოსავალი არასაკონტროლო პაკეტს მიეწერება მაშინაც კი, თუ ეს იწვევს არასაკონტროლო პაკეტის ნაშთის დეფიციტს.

არასაკონტროლო პაკეტის შეძენა ან განკარგვა, თუ ეს გავლენას არ ახდენს მშობელი კომპანიის მიერ შეიღობილ კომპანიის კონტროლზე, ითვლება წილობრივ მონაწილესთან (აქციონერთან) გარიგებად. გადახდილი ან მიღებული თანხის სამართლიან ღირებულებასა და არასაკონტროლო პაკეტში ცვლილებას შორის ნებისმიერი განსხვავება პირდაპირ აღიარებულია საკუთარ კაპიტალში.

როდესაც ჯგუფი კარგავს კონტროლს შეიღობილ კომპანიაზე, ორგანიზაციაში ნებისმიერი წილობრივი მონაწილეობა გადაფასდება თავის სამართლიანი ღირებულებით კონტროლის დაკარგვის დღეს, მოგებაში ან ზარალში კორექტირების აღიარებით, როგორც საკონტროლო პაკეტის განკარგვით მიღებული მოგების ან ზარალის ნაწილი. ამ შეიღობილ კომპანიასთან დაკავშირებით სხვა საერთო შემოსავალში ადრე აღიარებული ყველა თანხა აღირიცხება თითქოს ჯგუფმა უშუალოდ განკარგა შეიღობილი კომპანიის დაკავშირებული აქტივები ან ვალდებულებები (ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ მოხდება აღნიშნული თანხების ხელახლა კლასიფიკაცია მოგებად ან ზარალად და გადავა საკუთარი კაპიტალის სხვა კატეგორიაში, როგორც გათვალისწინებულია მოქმედ ფასს-ში).

წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შესული ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას მშობელი და შეიღობილი კომპანიები იყენებენ ერთიდაიგივე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკას.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „ნიკორა ტრეიდის“ (შემდეგში „კომპანია“) და მისი შეიღობილი კომპანიების შპს „ლაზი ჰოლდინგის“ და შპს „ნუგეშის“ შესახებ ფინანსურ ინფორმაციას. შპს „ნიკორა ტრეიდი“ შპს „ლაზი ჰოლდინგში“ ფლობს 67%-იან წილს და შპს „ნუგეში“ 100%-იან წილს.

#### 2.5. წარმომადგენლობითი და ფუნქციონალური ვალუტა

ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხები განსაზღვრულია იმ მთავარ ეკონომიკურ გარემოში მოქმედ ვალუტაში, სადაც ჯგუფი ახორციელებს საქმიანობას („ფუნქციონალური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს ჯგუფის ფუნქციონალურ და წარმომადგენლობით ვალუტას.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად მოცემულია ფუნქციონალურ ვალუტაში, რომელიც კონვენტირებულია ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის არსებული კურსის

## შპს „ნიკორა ტრეიდი“

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2015 წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ლარებში

შესაბამისად, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარში წლის ბოლოს მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტის გადაყვანით განხორციელებული ტრანზაქციების და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირების შედეგად მიღებული მოგება-ზარალი აღიარებულია საშემოსავლო დეკლარაციაში. ამგვარი ნაშთები კონვერტირებულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

მთავარი ვალუტების გაცვლითი კურსები წლის ბოლოსთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	აშშ დოლარი	ევრო
2014 წლის 31 დეკემბერი	1.8636	2.2656
2015 წლის 31 დეკემბერი	2.3949	2.6169

#### 2.6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს სალაროში და ბანკებში არსებულ ნაღდ ფულს. საბანკო ოვერდრაფტები არ შედის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში და ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ცალკე მიმდინარე ვალდებულებების ნაწილში.

#### 2.7. დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ განისაზღვრება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, მინუს გაუფასურებისთვის გათვალისწინებული რეზერვი. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურებისთვის გათვალისწინებული რეზერვი განისაზღვრება როდესაც იქნება ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს ყველა მისაღები თანხის ინკასირებას დებიტორული დავალიანების საწყისი პირობების შესაბამისად. აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება შეფასებითი რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, ხოლო ზარალის თანხა აღიარებულია საშემოსავლო დეკლარაციაში საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში. თუ სავაჭრო კრედიტორული დავალიანების ინკასირება შეუძლებელია, ხდება მისი ჩამოწერა სავაჭრო კრედიტორული დავალიანების შეფასებითი რეზერვის ანგარიშიდან. ადრე ჩამოწერილი და შემდგომ ამოღებული თანხები საშემოსავლო დეკლარაციაში ჩაითვლება სარეალიზაციო და მარკეტინგის ხარჯებში.

#### 2.8. ავანსად გადახდილი ან გადასახდელი გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, გადასახადის გადამხდელს აქვს უფლება გაქვითოს გადასახდელი და წინასწარგადახდილი გადასახადები და ვალდებულების რეალიზება ნეტო საფუძველზე მოახდინოს. შესაბამისად ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ავანსად გადახდილი და გადასახდელი გადასახადები ნეტო საფუძველზეა წარდგენილი.

#### 2.9. სხვა ავანსები და სხვა აქტივები

გადახდილი ავანსები თავდაპირველად აღიარდება გადახდილი ფულადი სახსრების ოდენობით და შემდგომში, თუკი სახეზეა ავანსების გაუფასურება, მაშინ საბალანსო ღირებულება მცირდება ამ გაუფასურების ასახვის მიზნითა. გადახდილი ავანსები ჩამოიწერება მათ აღდგენით ღირებულებამდე, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ ჯგუფი კლიენტისაგან სრულად ვერ მიიღებს იმ საქონელს და მოსახურებას, რაც უნდა მიეღო კონტრაქტის პირობების მიხედვით.

მარაგების და სხვა მიმდინარე აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები არის მოკლევადიანი და კლასიფიცირდება მიმდინარე აქტივად. ყველა სხვა ავანსი რომელიც გადახდილია გრძელვადიანი

## შპს „ნიკორა ტრეიდი“

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2015 წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ლარებში

აქტივის შესაძენად კლასიფიცირდება გრძელვადიან აქტივად. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გადახდილი ავანსები ლარში გადაყვანილია გადახდის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად და პერიოდის ბოლოს ნაშთი არ გადაანგარიშდება ბალანსის თარიღისათვის გამოცხადებული კურსით.

ჯგუფის სხვა მიმდინარე აქტივები აღიარებულია თვითღირებულებით.

#### 2.10. მარაგები

მარაგები წარმოადგენენ აქტივებს, რომლებიც:

- (ა) განკუთვნილია გასაყიდად საქმიანობის ნორმალურ პირობებში;
- (ბ) იმყოფება წარმოების პროცესში და წარმოების დასრულების შემდეგ განკუთვნილია გასაყიდად;
- (გ) წარმოადგენილია წარმოების პროცესში ან მომსახურების გაწევისთვის გამოსაყენებელი მასალების ან მარაგების სახით.

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით და შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული შეფასებითი გასაყიდი ფასია. მარაგების თვითღირებულება მოიცავს შეძენის, და სადაც შესაფერისია გადამუშავების დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდგომარეობამდე მოსაყვანად. შეძენის დანახარჯები მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო და სხვა არადაბრუნებად გადასახადებს, ტრანსპორტირების და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია მარაგების შესყიდვასთან. სავაჭრო ფასდაკლებები და სხვა მსგავსი შეღავათები შესყიდვის ღირებულებაში არ შეიყვანება.

#### 2.11. ძირითადი საშუალებები

პროდუქციის წარმოების, მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენებული შენობები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია გადაფასებული ღირებულებით, რაც შემცირებულია ბოლო გადაფასების შემდეგ დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (თუკი გაუფასურებას ქონდა ადგილი) ღირებულებით. ძირითადი საშუალების გადაფასების დროს, გადაფასებების დღისთვის დაგროვილი ცვეთა აკლდება მთლიან საბალანსო ღირებულებას და ნეტო თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული თანხით. გადაფასებები დამოუკიდებელ შემფასებელთა მიერ ტარდება საკმარისი სიზშირით, იმ მიზნით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისგან, რაც მას ექნებოდა პერიოდის ბოლოს რომ მომხდარიყო მისი რეალური ღირებულების შეფასება.

ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ჩაირთვება სხვა გაერთიანებულ შემოსავლებში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იმავე აქტივთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის შემცირება წინა პერიოდში უკვე აღიარებული იყო მოგება-ზარალში, ასეთ შემთხვევაში გადაფასების რეზერვის ზრდა მოგება-ზარალზე აღირიცხება წინა პერიოდში შემცირებული თანხის მოცულობით), ხოლო გადაფასების რეზერვი კაპიტალში. საბალანსო ღირებულების შემცირება, რომელიც გამოწვეულია გადაფასებით აღირიცხება მოგება-ზარალში, რადგან საბალანსო ღირებულება აღემატება ძირითადი საშუალების რეალურ ღირებულებას, ხოლო თუ არსებობს წინა პერიოდში ძირითადი საშუალების გადაფასებით წარმოქმნილი რეზერვი, ხდება მისი შემცირება.

გადაფასების რეზერვის გადატანა ხდება გაუნაწილებელ მოგებაზე თუ მოხდა მასთან დაკავშირებული

## შპს „ნიკორა ტრედი“

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2015 წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ლარებში

ძირითადი საშუალების გაყიდვა ან სხვა ფორმით მისი აღიარების შეწყვეტა.

სხვა ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს აკუმულირებული ცვეთა და აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

ისტორიული ღირებულება მოიცავს ამ აქტივების შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. შეძენის შემდგომი დანახარჯები აქტივის საბალანსო ღირებულებას ემატება ან ცალკე აქტივად აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ჯგუფი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების საიმედო შეფასება. აქტივების მიმდინარე რემონტის (შეკეთებისა) და შენახვის დანახარჯები აისახება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მათი გაწევის პერიოდების მიხედვით.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით აქტივის მთელი სასარგებლო მოსამსხურების ვადის განმავლობაში. ცვეთის განაკვეთები შემდეგია:

შენობები	30 წელი
დანადგარები	5 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
ავტომანქანები	5 წელი
იჯარით არებული აქტივების კეთილმოწყობა	უმცირესი 7 წელსა და იჯარის ვადას შორის

აქტივის სალიკვიდაციო ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის მეთოდები გადაიხედება და კორექტირდება საჭიროებისამებრ, ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

ძირითადი საშუალების ჩამოწერა ხდება მისი გაყიდვისას ან, როდესაც მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად. ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება გასვლის შედეგად მიღებული შემოსავლის (თუ გაიყიდა) საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და ჩაირთვება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

#### 2.12. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი – ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივია. არამატერიალური აქტივი აღიარებულია ბალანსში თუ: (ა) მას სავარაუდოდ ჯგუფისთვის მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოტანა შეუძლია და (ბ) აქტივის ღირებულების გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი.

საწყისი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები წარედგინება აკუმულირებული ამორტიზაციითა და აკუმულირებული გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წრფივი მეთოდის გამოყენებით გამოიანგარიშება და ამორტიზაციის წლიური განაკვეთით 15%-ს შეადგენს.

#### 2.13. გუდვილი

ბიზნესის გაერთიანებისას წარმოშობილი გუდვილი წარმოადგენს შესყიდვისას გადახდილი ანაზღაურების რეალური ღირებულების, შესყიდვამდე ფლობილი წილის რეალური ღირებულების და შეძენილ საწარმოში არამაკონტროლებელი წილის ღირებულების ჯამის მეტობას შეძენილი აქტივებისა და ვალდებულებების ნეტო ღირებულებაზე. აღიარების შემდგომ გუდვილი წარედგინება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

#### 2.14. აქტივების გაუფასურება

ყოველი ბალანსის შედგენის თარიღისთვის ტარდება ფინანსური აქტივების შესაძლო გაუფასურების ანალიზი. ამორტიზირებული ღირებულებით ნაჩვენები ფინანსური აქტივებისთვის, როცა კი შესაძლებელია, რომ ჯგუფმა ვერ მიიღოს გაცემული სესხებისა და მოთხოვნების კონტრაქტების თავდაპირველი პირობებით განსაზღვრული ოდენობა, სრული შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშგებაში აღიარდება გაუფასურების ზარალი ან უიმედო ვალების ხარჯი. გაუფასურების ზარალის შემდგომი აღდგენა აღიარდება მაშინ, როცა გაუფასურების ზარალის შემცირება დადასტურდება ჩამოწერის შემდგომი რაიმე მოვლენით. ასეთი გაუფასურების ზარალის აღდგენა ნაჩვენებია სრული შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშში. მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღმატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც აქტივს ექნებოდა, რომ არ ყოფილიყო წინა წლებში მისი ღირებულება შემცირებული გაუფასურების შედეგად.

სხვა აქტივების, გარდა გუდვილისა, შესაძლო გაუფასურების განხილვა ხდება ისეთ შემთხვევაში, თუკი არსებობს რაიმე მაჩვენებელი იმისა, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება შესაძლოა აღმატებოდეს მის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების ზარალი მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება იმ თანხით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღმატება მის აღდგენით ღირებულებას. წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება მაშინ, როცა არსებობს რაიმე მაჩვენებელი იმისა, რომ აქტივის წინა პერიოდში აღიარებული გაუფასურების ზარალი აღარ არსებობს ან შემცირდა. გაუფასურების ზარალის აღდგენა აღირიცხება სრული შემოსავლებისა და ხარჯების იმავე ნაწილში, სადაც აღირიცხება გაუფასურების ზარალი.

გუდვილის გაუფასურების ანალიზი ხდება ყოველწლიურად. წინა პერიოდებში აღიარებული გუდვილის გაუფასურების აღდგენა შემდგომში აღარ ხდება.

#### 2.15. საოპერაციო იჯარა

როდესაც ჯგუფი არის მეიჯარე ისეთი საიჯარო კონტრაქტით, რომელიც არ გადმოსცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა სარგებელსა და რისკს მოიჯარიდან ჯგუფზე, მაშინ საიჯარო გადასახდელები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალში საიჯარო პერიოდის განმავლობაში. საიჯარო პერიოდი არის იჯარის კონტრაქტით გათვალისწინებული ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც გათვალისწინებულია აქტივის იჯარა, პლუს ნებისმიერი ისეთი შემდგომი პერიოდი, რომლისთვისაც მეიჯარეს აქვს შესაძლებლობა, რომ გააგრძელოს იჯარის ხელშეკრულება, საზღაურით ან მის გარეშე, და იჯარის დასაწყისისათვის დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მეიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

#### 2.16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოიქმნება როცა მოწინააღმდეგე მხარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ასრულებს და ეს ვალდებულებები ეფექტური განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებითაა ასახული.

#### 2.17. მოგების გადასახადი

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მოგების გადასახადი ანგარიშგებაში წარდგენილი წლებისთვის 15%-ს შეადგენს. მოგების გადასახადის გამოთვლა ხდება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების მიხედვით შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგების მონაცემებზე დაყრდნობით. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საგადასახდო ზარალები გადავადდება 5 წლის ვადით.

გადავადებული მოგების გადასახადი მთლიანად არის აღიარებული საბალანსო ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით, აქტივების საგადასახადო დასაბეგრ ბაზასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებას შორის ყველა დროებით განსხვავებაზე გადავადებული მოგების გადასახადის განსაზღვრა ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისთვის დადგენილი განაკვეთებით და იმ განაკვეთების გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ დადგენილი იქნება, მაშინ როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომელის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება.

#### 2.18. სესხები და სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის გათვალისწინებით. განსაკუთრებული აქტივის შეძენასთან, წარმოებასთან ან მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებული სესხით სარგებლობის დანახარჯები კაპიტალიზდება, ანუ ჩაირთვება აღნიშნული აქტივების საბალანსო ღირებულებაში. ეს ხდება მაშინ, როდესაც მომავალში მოსალოდნელია ამ აქტივებისაგან ეკონომიკური სარგებლის მიღება და, ამასთან, შესაძლებელია დანახარჯების საიმედოდ შეფასება. სხვა დანახარჯები, რომლებიც არ დააკმაყოფილებს ამ ორ პირობას, ხარჯებად აღიარებული იქნება მათი გაწვევისთანავე.

განსაკუთრებული აქტივის შეძენასთან, წარმოებასთან ან მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებული სესხით სარგებლობის დანახარჯები ემატება ასეთი აქტივის საბალანსო ღირებულებას. თუ საწარმომ აიღო საერთო დანიშნულების სესხი, მაგრამ გამოიყენა რომელიმე კონკრეტული განსაკუთრებული აქტივის შესაძენად, საწარმოებლად ან ასაშენებლად, სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზებადი თანხის განსაზღვრისათვის გამოიყენება ამ აქტივზე გაწეული დანახარჯების კაპიტალიზაციის ნორმა. კაპიტალიზაციის ნორმა არის სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების საშუალო შეწონილი სიდიდე, საწარმოს მიერ მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში გადაუხდელი სესხის იმ ფულად თანხასთან, რომელიც განკუთვნილი არ არის განსაკუთრებული აქტივების შესაძენად, საწარმოებლად ან ასაშენებლად. მოცემული პერიოდის კაპიტალიზებადი დანახარჯების თანხა არ უნდა აღემატებოდეს ამავე პერიოდში გაწეულ, სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯების თანხას. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია განსაკუთრებული აქტივის ღირებულების ნაწილის სახით იწყება მაშინ, როდესაც:

- ა) განსაკუთრებულ აქტივზე გაწეულია პირველი დანახარჯები
- ბ) გაწეულია სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული პირველი დანახარჯები;
- გ) დაწყებულია პირველი სამუშაოები მოცემული აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდ მდგომარეობაში მოსაყვანად.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები კაპიტალიზდება განსაკუთრებული აქტივის მშენებლობის პროცესში. კაპიტალიზაციის პროცესი უნდა შეწყდეს მაშინ, როდესაც, ძირითადად, დამთავრდება მოცემული აქტივის გამოყენებისათვის ან გასაყიდად მომზადებისათვის საჭირო ყველა აქტიური სამუშაო.

#### 2.19. აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვა და წმინდა თანხის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში ხდება მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლის სამართლებრივად რეალიზებადი უფლება და წმინდა თანხების გადახდის ან აქტივის რეალიზაციის და ამავდროულად ვალდებულების შესრულების განზრახვა.

## 2.20. შემოსავლების აღიარება

კომპანია ბიზნესს ისე აწარმოებს, რომ გაყიდვების უდიდესი ნაწილი ხორციელდება ნაღდი ფულით და შემოსავლების აღიარება ხდება კლიენტების მიერ ნაღდი ანგარიშსწორების თანადროულად. ყველა სხვა შემთხვევაში, შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც:

- შესაძლებელია შემოსავლების მოცულობის ზუსტად განსაზღვრა;
- სავარაუდოა, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი შევა კომპანიაში;
- შესაძლებელია საბალანსო უწყისით გათვალისწინებულ დღეს ტრანზაქციის დასრულების ეტაპის ზუსტად განსაზღვრა; და
- შესაძლებელია ტრანზაქციისთვის გამოყოფილი ხარჯისა და ტრანზაქციის დასრულებისთვის გაწეული ხარჯის ზუსტად განსაზღვრა.

## 2.21. საკუთარი კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც საკუთარი კაპიტალი და განისაზღვრება აქციებისთვის შემოსული ნაღდი ფულის ოდენობით, ან თუ აქციები გამოშვებულია უნაღდო ანგარიშსწორებისთვის, მაშინ განსაზღვრულია მისაღები თანხის სამართლიანი ღირებულებით. თუ მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულება აღმატება გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებას, ეს დაფიქსირდება როგორც კაპიტალში საემისიო შემოსავალი.

როდესაც აქციები გამოშვებულია, მაგრამ გადახდა უნდა განხორციელდეს მოგვიანებით, აქციების მიღებაზე ხელმოწერა საბალანსო უწყისში აღიარებული იქნება აქტივად, ხოლო ხელმოწერილი აქციები აღირიცხება საბალანსო უწყისის იმ ნაწილში, სადაც საკუთარი კაპიტალია წარმოდგენილი. თანხის მიღებისას აქციების მიღებაზე ხელმოწერა გაუქმდება და მოხდება ხელმოწერილი აქციების ჩვეულებრივ აქტივად რეკლასიფიკაცია.

## 2.22. რეზერვები

რეზერვი აღიარებულია ფინანსურ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ა) კომპანიას აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული თუ კონსტრუქციული) წარსული მოვლენის შედეგად;
- ბ) სავარაუდოა, რომ რესურსების გადინება ეკონომიკური სარგებლის მიღებით საჭიროა ვალდებულების შესრულებისთვის; და
- გ) შესაძლებელია ვალდებულების მოცულობის სანდო შეფასება.

რეზერვები გამოირჩევა სხვა ვალდებულებებიდან, როგორცაა სავაჭრო კრედიტორული დავალიანება და დარიცხვები, რადგან გაურკვეველია ვალდებულების შესრულებისთვის საჭირო მომავალი ხარჯების ვადა და მოცულობა.

ისეთ შემთხვევებში, როდესაც გაურკვეველია კონკრეტულ მოვლენებს ჰქონდა ადგილი თუ ეს მოვლენები მიმდინარე ვალდებულების შედეგია, კომპანია განსაზღვრავს მიმდინარე ვალდებულება იარსებებს თუ არა საანგარიშო პერიოდის ბოლოს, ყველა ხელმისაწვდომი მტკიცებულების, მაგალითად ექსპერტების დასკვნის, გათვალისწინებით. ასეთი მტკიცებულებების საფუძველზე:

- ა) როდესაც უფრო მეტი ალბათობაა იმისა, რომ მიმდინარე ვალდებულება იარსებებს საანგარიშო პერიოდის ბოლოს, კომპანია აღიარებს რეზერვს (თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია); და
- ბ) როდესაც უფრო მეტი ალბათობაა იმისა, რომ საანგარიშო პერიოდის ბოლოს არავითარი

ვალდებულება იარსებებს, კომპანია გააცხადებს პირობით ვალდებულებას, თუ რესურსების გადინების შესაძლებლობა შორეულ პერსპექტივაშია.

რეზერვების აღიარება ხდება იმ მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულების შესრულებისთვის საჭირო დანახარჯების შეფასება.

### 2.23. უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად მოცემულია ლარში, რომელიც კონვერტირებულია ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის არსებული კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარში წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტის გადაყვანით განხორციელებული ტრანზაქციების და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირების შედეგად მიღებული მოგება-ზარალი აღიარებულია საშემოსავლო დეკლარაციაში.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მოსაზრებები და შეფასებაში უზუსტობების ძირითადი წყაროები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფას-ის შესაბამისად ხელმძღვანელობისგან მოითხოვს იმ შეფასებების და დაშვებების წარმოდგენას, რომელიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე. შეფასებები და დაშვებები მუდმივად განიხილება და ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს. დაშვებები, რომელსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, ასევე შეფასებები, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია მნიშვნელოვნად დაკორექტირდეს აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავს შემდეგს:

#### 3.1 გუდვილის საბალანსო ღირებულება

გუდვილის საბალანსო ღირებულებაზე გავლენას ახდენს შესაძლო გაუფასურება. გუდვილი არის აქტივი, რომელიც წარმოადგენს ბიზნესების შეერთების შედეგად შეძენილი აქტივებიდან მიღებულ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს. ეს აქტივები ცალკე არ არის გამოვლენილი და აღიარებული. აქედან გამომდინარე, გუდვილის გაუფასურების შეფასება საჭიროებს იმ შეფასებებისა და დაშვებების გამოყენებას, რომელიც უკავშირდება ჯგუფის სამომავლო საქმიანობას და ჯგუფის უფრო ფართო ბიზნეს გარემოში განვითარებულ სხვა მოვლენებს, რომელთაგან ბევრს პირდაპირ არ აკონტროლებს ჯგუფი. გუდვილის სავარაუდო გაუფასურების განსაზღვრისთვის ჯგუფი იყენებს უთი წლის ბიუჯეტს, რომელიც მოიცავს ბევრ ფაქტორს, მათ შორის გაყიდვების ზრდის მაჩვენებლების, ინფლაციის, კონკურენციის, საბაზრო წილების და ა.შ. შეფასებას.

მიმდინარე შეფასებებზე, დაშვებებსა და მოლოდინებზე დაფუძნებული ხელმძღვანელობის გათვლების მიხედვით, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული გუდვილი არ ექვემდებარება გაუფასურებას. თუმცა, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ დასკვნებსა და რეალურ გარემოს შორის განსხვავებებმა შესაძლოა არსებითი გავლენა მოახდინოს „გუდვილის“ საბალანსო ღირებულებაზე.

#### 3.2 ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადა

ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მიერ არის გადასაწყვეტი, მსგავს აქტივებთან დაკავშირებული გამოცდილების საფუძველზე. აქტივის საექსპლუატაციო ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, ტექნიკურ დაძველებას, ფიზიკურ ცვეთას და ფიზიკურ გარემოს, სადაც აქტივია ხელმისაწვდომი.

ნებისმიერ რომელიმე ამ პირობაში ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს მომავალი ამორტიზაციის მაჩვენებლების კორექტირება.

### 3.3 გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება

აღიარებული გადავადებული გადასახადის აქტივი წარმოადგენს დასაბეგრი მოგებიდან მომავალი გამოქვითვებიდან მიღებულ საშემოსავლო გადასახადებს. ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილების საფუძველზე განსაზღვრა ჯგუფის მიერ აღიარებული გადავადებული გადასახადის აქტივის დონე. გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აქტივები აღრიცხულია იმ მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს დაკავშირებული საგადასახადო სარგებლის რეალიზაცია. მომავალში დასაბეგრი მოგება და საგადასახადო შეღავათები ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულ საშუალო ვადიან ბიზნეს გეგმას.

### 3.4 საეჭვო ვალების რეზერვები

ჯგუფი აფასებს, თუ რამდენად ექვემდებარება სავაჭრო დებიტორული დავალიანება ინკასირებას, საკუთარი გამოცდილებისა და სამომავლო მოლოდინების გათვალისწინებით. ის მაჩვენებლები, რომელიც განსაზღვრავს დებიტორული დავალიანება რეალურად ექვემდებარება თუ არა ინკასირებას, შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის ამჟამინდელი შეფასებისგან.

### 3.5 სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისა და შეფასების პროცესები

სამართლიანი ღირებულების შეფასებები აუცილებელია ზოგიერთი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის ზემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. სამართლიანი ღირებულება არის ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივ გარიგებაში აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემიდან მისაღები ფასი. სამართლიანი ფასის განსაზღვრა ხდება იმ მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება იდება:

- აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე, ან
- თუ ძირითადი ბაზარი არ არსებობს, აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხდება იმ მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომ ბაზრის მონაწილეები გამოიყენებენ მას აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის ფასის განსაზღვრის დროს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბაზრის მონაწილეები იმოქმედებენ მაქსიმალურად საკუთარი ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

არაფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ითვალისწინებს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას ეკონომიკური სარგებელი მიიღოს აქტივის მაქსიმალურად და სასარგებლოდ გამოყენებიდან ან მისი სხვა ბაზრის მონაწილესთვის მიყიდვიდან, რომელიც აქტივს გამოიყენებს მაქსიმალურად და სასარგებლოდ.

ჯგუფი იყენებს შეფასების ისეთ მეთოდებს, რომელიც შესაბამება გარემოს და რომლისთვისაც არსებობს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის საკმარისი მონაცემები, რაც უზრუნველყოფს პირდაპირ დაკვირვებას დაქვემდებარებული შესაბამისი მონაცემების მაქსიმალურად გამოყენებას, ხოლო პირდაპირ დაკვირვებას არდაქვემდებარებული შესაბამისი მონაცემების მინიმალურად გამოყენებას.

ყველა ის აქტივი და ვალდებულება, რომლისთვისაც განისაზღვრება ან ფინანსურ ანგარიშგებაში გაცხადდება სამართლებრივი ღირებულება, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით, როგორც ქვემოთ არის აღწერილი, ყველაზე დაბალი დონის მონაცემების საფუძველზე,

**შპს „ნიკორა ტრეიდი“**

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2015 წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ლარებში

რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების მთლიანობაში განსაზღვრისთვის:

დონე 1 - კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის;

დონე 2 - შეფასების მეთოდი, რომლისთვისაც ყველაზე დაბალი დონის მონაცემები, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის, ექვემდებარება პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკვირვებას;

დონე 3 - შეფასების მეთოდი, რომლისთვისაც ყველაზე დაბალი დონის მონაცემები, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის, არ ექვემდებარება დაკვირვებას.

იმ აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, რომელიც განმეორებით აღიარებულია ფინანსურ ანგარიშგებაში, ჯგუფი განსაზღვრავს თუ რამდენად განხორციელდა გადაცემა იერარქიულ დონეებს შორის ხელახალი შეფასების კატეგორიზაციის გზით (ყველაზე დაბალი დონის მონაცემების საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების მთლიანობაში განსაზღვრისთვის), თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

**3.6 დაბეგვრა**

ჯგუფი ექვემდებარება საქართველოში დაბეგვრას. საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობას სხვადასხვა ინტერპრეტაცია აქვს. ჯგუფის ხელმძღვანელობა საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს საგადასახადო კანონმდებლობის მათეული გაგებისა და ინტერპრეტაციის საფუძველზე, ასევე ითვალისწინებს თავისი ბუღალტრებისა და სხვა კონსულტანტების შეხედულებებს. თუმცა, საგადასახადო ორგანოები შესაძლოა დაეჭვდნენ კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეულ განმარტებაში. სავარაუდოდ, საგადასახადო ორგანოებს უფრო მკაცრი პოზიცია ექნებათ კანონმდებლობის ინტერპრეტაციის და შეფასებების მხრივ. შედეგად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილი საგადასახადო ვალდებულებები შეიძლება განსხვავდებოდეს იმ მოცულობისგან, რომელიც შეიძლება საგადასახადო ორგანოებმა შეაფასონ.

**4. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

	2015 წლის 31 დეკემბერი	2014 წლის 31 დეკემბერი
სალაროში არსებული ნაღდი ფული	821,201	508,748
ნაღდი ფული ბანკში	67,773	6,762
ბანკებიდან მისაღები ფულადი სახსრები	214,699	98,064
<b>სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები</b>	<b>1,103,674</b>	<b>613,574</b>

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების განშლა ვალუტის მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ 14.1 შენიშვნაში.

**5. დებიტორული დავალიანება**

	2015 წლის 31 დეკემბერი	2014 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	2,592,815	183,726
სხვა დებიტორული დავალიანება	45,166	19,775
მთლიანი დებიტორული დავალიანება	2,637,981	203,501
მინუს: საექვო დებიტორული დავალიანების რეზერვი	-	(1,901)
<b>წმინდა დებიტორული დავალიანება</b>	<b>2,637,981</b>	<b>201,601</b>

შპს „ნიკორა ტრეიდი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2015 წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ლარებში

6. ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები

ბიზნესის ნორმალური მსვლელობისას კომპანია წინასწარ უხდის თანხებს ზოგიერთ მიმწოდებელს. ქვემოთ მოცემულ ხერილში წარმოდგენილია ავანსების დაშლა ვალუტის მიხედვით:

	2015 წლის 31 დეკემბერი	2014 წლის 31 დეკემბერი
საკანცელარიო ნივთები და სხვა სახარჯი მასალები	318,598	85,077
პერსონალისთვის გადახდილი ავანსები	12,304	43,888
წინასწარ გადახდილი ხელფასი	-	14,202
სხვა ავანსები	-	4,431
<b>მთლიანი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები</b>	<b>330,902</b>	<b>147,597</b>

7. სასაქონლო მარაგები

	2015 წლის 31 დეკემბერი	2014 წლის 31 დეკემბერი
საკვები და რძის პროდუქტები	3,865,678	1,581,209
შოკოლადი, კანფეტები, ნამცხვრები	3,287,730	1,313,853
არაალკოჰოლური სასმელი	1,876,716	878,676
ალკოჰოლური სასმელი	1,634,279	501,840
ხორცი და თევზი	1,200,338	497,518
სიგარეტი	1,029,038	661,067
საყოფაცხოვრებო საქონელი და ქიმიკატები	753,844	245,765
ხილი და ბოსტნეული	194,699	116,908
საკანცელარიო	119,627	-
სათამაშოები	78,964	-
აქსესუარები	29,289	34,159
სამკაული	28,788	17,897
სხვა	264,740	111,816
მარაგების სავარაუდო დანაკარგების რეზერვები	(394,651)	(362,713)
<b>სულ მარაგები</b>	<b>13,969,078</b>	<b>5,597,994</b>

ჯგუფმა დაადგინა მარაგების სავარაუდო დანაკარგების რეზერვები ინვენტარის დანაკარგების ისტორიული გამოცდილების საფუძველზე. ამ რეზერვებში ცვლილებები მოგება-ზარალის უწყისში აღიარებულია ცალკე სტრიქონში.

შპს „ნიკორა ტრეიდი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2015 წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ლარებში

8. ძირითადი საშუალებები

2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

	შენიშვნები	მოწყობილობები მალაზიებისთვის	საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეტილმოწყობა	სულ ძირითადი საშუალებები
31-12-2014	87,315	6,878,637	3,342,078	676,165	1,636,092	12,620,287
შესყიდვები		6,464,758	2,502,531	1,035,510	1,871,979	11,874,778
გადაფასება	283,755	-	-	-	-	283,755
ბიზნესების გაერთიანების დროს შექმნა		138,830	2,441,969	320,407	1,476,990	4,378,196
რეალიზებული აქტივები	-	(228,894)	(84,616)	(174,032)	(87,650)	(575,192)
31-12-2015	371,070	13,253,331	8,201,962	1,858,050	4,897,411	28,581,824
აკუმულირებული ცვეთა						
31-12-2014	33,682	1,775,384	1,649,375	358,935	401,343	4,218,719
მოსაკრებელი მთელი წლის განმავლობაში	4,366	2,191,353	1,037,269	212,846	580,900	4,026,734
გადაფასების ელიმინაცია	(38,048)	-	-	-	-	(38,048)
რეალიზებული აქტივების	-	(20,807)	(4,408)	(7,919)	(7,557)	(40,691)
აკუმულირებული ცვეთა						
31-12-2015	-	3,945,930	2,682,236	563,862	974,686	8,166,714
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31-12-2014	53,634	5,103,253	1,692,703	317,230	1,234,750	8,401,569
31-12-2015	371,070	9,307,401	5,519,726	1,294,188	3,922,725	20,415,111

2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

	შენიშვნები	მოწყობილობები მალაზიებისთვის	საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეტილმოწყობა	სულ ძირითადი საშუალებები
31-12-2013	1,208,902	4,497,060	2,302,976	557,015	1,164,469	9,730,423
შესყიდვები	220	2,301,412	985,267	119,149	556,978	3,963,026
გადაფასება	-	-	-	-	-	-
ბიზნესების გაერთიანების დროს შექმნა	-	156,213	70,008	-	-	226,221
რეალიზებული აქტივები	(1,121,807)	(76,048)	(16,173)	-	(85,355)	(1,299,382)
31-12-2014	87,315	6,878,637	3,342,078	676,165	1,636,092	12,620,287
აკუმულირებული ცვეთა						
31-12-2013	333,038	734,162	1,116,341	236,472	238,430	2,658,443
მოსაკრებელი მთელი წლის განმავლობაში	27,991	1,069,695	538,111	122,463	192,590	1,950,850
გადაფასების ელიმინაცია	-	-	-	-	-	-
რეალიზებული აქტივების	(327,347)	(28,473)	(5,078)	-	(29,677)	(390,575)
აკუმულირებული ცვეთა						
31-12-2014	33,682	1,775,384	1,649,375	358,935	401,343	4,218,718
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31-12-2013	875,865	3,762,898	1,186,635	320,543	926,039	7,071,979
31-12-2014	53,634	5,103,253	1,692,703	317,230	1,234,750	8,401,569

## შპს „ნიკორა ტრეიდი“

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2015 წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ლარებში

კომპანიის ხელთ არსებული უძრავი ქონება დაგირავებულია საქართველოს ბანკში აღებული სესხის უზრუნველსაყოფად. იხილეთ სესხების შესახებ დეტალური ინფორმაცია მე-11 შენიშვნაში.

#### 9. გუდვილი

2014 წლის 4 დეკემბერს შპს „ნიკორა ტრეიდი“ შეიძინა 67%-იანი წილი შპს „ლაზი ჰოლდინგში“ 1,931,475 ლარად. შეძენის დროს აღიარებული გუდვილი უტოლდება 1,598,623 ლარს.

2015 წლის 1 ივლისს შპს „ნიკორა ტრეიდი“ შეიძინა 100%-იანი წილი შპს „ნუგეში“ 35,375,000 ლარად. შეძენის დროს აღიარებული გუდვილი უტოლდება 26,628,029 ლარს.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობამ განიხილა გუდვილის შესაძლო გაუფასურების საკითხი და დაასკვნა, რომ ის არ გაუფასურდება. ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მომავალში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები, შეძენილი შვილობილი კომპანიის ხუთწლიანი დამტკიცებული ბიუჯეტის საფუძველზე. ანალიზის დროს განვიხილეთ ყველა შესაბამისი ფაქტორი, რომელიც გავლენას მოახდენს მომავალ ვარაუდებზე. ხელმძღვანელობამ ჩაატარა საქართველოს საცალო ბაზრის, ჯგუფის კონკურენტუნარიანობის, ბაზარზე ამჟამინდელი პოზიციის, ბაზარზე მისი წილის, ზოგადად ბაზრის მოსალოდნელი განვითარების და იმ შესაძლებლობებისა და საშუალებების ანალიზი, რომელიც ხელს შეუწყობს ბაზარზე წილის გაზრდას, მათ შორის მარკეტინგული, გაყიდვებისა და კლიენტებზე ზრუნვის სტრატეგიების შემუშავებას. ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაციის და გეგმების საფუძველზე, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ „გუდვილის“ საბალანსო ღირებულება სამართლიანად წარმოადგენს ბიზნესების გაერთიანების დროს შეძენილი სხვა აქტივებიდან მიღებულ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს, რაც ინდივიდუალურად გამოვლინდება და რომლის ცალკე აღიარება მოხდება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებში.

#### 10. სავაჭრო კრედიტორული დავალიანება

	2015 წლის 31 დეკემბერი	2014 წლის 31 დეკემბერი
კრედიტორული დავალიანება (საქონელი და ნედლეული)	23,305,358	7,340,169
კრედიტორული დავალიანება (მომსახურებები)	1,655,422	873,268
სხვა კრედიტორული დავალიანება	35,526	14,188
სულ კრედიტორული დავალიანება	24,996,306	8,227,624

#### 11. სესხები

კომპანიას ჯამში აღებული აქვს 15 სესხი საქართველოს ბანკისგან და ერთი სესხი დაკავშირებული კომპანიისაგან. საქართველოს ბანკისგან აღებული სესხების საბალანსო ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 37,733,994 ლარს, ხოლო დაკავშირებული კომპანიისაგან აღებული სესხი არის 1,200,000 ლარი. საქართველოს ბანკისგან თითქმის ყველა სესხი აღებულია აშშ დოლარში, ხოლო დაკავშირებული მხარისგან ლარში. საქართველოს ბანკისგან აღებული სესხების საპროცენტო განაკვეთები მიბმულია LIBOR-ზე და წლის განმავლობაში პროცენტები ამ სესხებზე იყო 8%-დან 18%-ამდე წლიურად.

საკრედიტო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, კომპანიის უძრავი ქონება დაგირავებულია საქართველოს ბანკიდან აღებული სესხების უზრუნველყოფის სახით. საქართველოს ბანკთან სესხის ხელშეკრულებები განსაზღვრავს გარკვეულ ფინანსურ და არაფინანსურ შეზღუდვებს. რამდენადაც ბანკი თანამშრომლობს მთლიანად ნიკორა ჯგუფთან, რომელშიც იგულისხმება შპს „ნიკორა ტრეიდის“ სათაო კომპანია სს „ნიკორა“ და ყველა მისი შვილობილი, ეს შეზღუდვებიც დადგენილია იმ დიდი ჯგუფის მაჩვენებლებისთვის, რაც მთლიანად არ ექვემდებარება შპს „ნიკორა ტრეიდის“ კონტროლს.

შპს „ნიკორა ტრედი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2015 წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ლარებში

12. გადავადებული და მიმდინარე მოგების გადასახადები

გადავადებული გადასახადის კომპონენტები: აქტივი / (ვალდებულება)	2015 წლის 31 დეკემბერი	2014 წლის 31 დეკემბერი
დებიტორული დავალიანება (საექვო ვალები)	-	285
ძირითადი საშუალებები	(2,587,005)	(740,513)
თანამშრომლების მიმართ ვალდებულებები	(13,652)	-
გადაფასების რეზერვი	(48,022)	-
აკუმულირებული საგადასახადო ზარალები	2,447,181	18,716
<b>გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი (ვალდებულება)</b>	<b>(201,498)</b>	<b>(721,511)</b>

ქვემოთ მოკლედ არის აღწერილი ის მიზეზები, რამაც გამოიწვია გადავადებული გადასახადები:

*დებიტორული დავალიანება* - დებიტორული დავალიანება განსაზღვრულია როგორც წმინდა საექვო და უიმედო ვალები, რომელიც არ არის აღიარებული საგადასახადო მიზნებისთვის მანამ, სანამ გარკვეული ადმინისტრაციული და სამართლებრივი პროცედურები არ შესრულდება. ამ დრომდე, საბალანსო უწყისში აღიარებული, მაგრამ საგადასახადო მიზნებისთვის არ აღიარებული უიმედო ვალები იწვევს გადავადებული გადასახადის წარმოქმნას.

*ძირითადი საშუალებები* - აქტივების აღიარების კრიტერიუმებთან, ამორტიზაციის მეთოდთან და ნორმალური ექსპლუატაციის შეფასებასთან დაკავშირებით ფასს-სა და საქართველოს საგადასახადო კოდექსს შორის არსებობს გარკვეული განსხვავება, რაც იწვევს განსხვავებას ფასს-ში განსაზღვრულ შენობა-ნაგებობების საბალანსო ღირებულებასა და ამ აქტივების საგადასახადო ზაზას შორის. ეს განსხვავებები იწვევს გადავადებული გადასახადის არსებობას. ამასთან, ფასს-ის ფინანსურ ანგარიშგებებში ერთ საანგარიშო პერიოდში აღიარებული შენობა-ნაგებობების და მოწყობილობების ანგარიშიდან ჩამოწერილი თანხა შეიძლება გამოიქვითოს საგადასახადო მიზნებისთვის მოგვიანებით დამდგარ საანგარიშო პერიოდებში მას შემდეგ, რაც გარკვეული ადმინისტრაციული პროცედურები შესრულდება.

*გადასახდელი პერსონალის ხარჯები* - პერსონალის ხარჯები, საგადასახადო მიზნებისთვის, გამოიქვითება ნაღდი ფულით, ანუ გადახდის დროს. თუმცა, ფასს-ის ფინანსურ ანგარიშგებებში ეს ხარჯები აღიარებულია დარიცხვის მეთოდით.

გადავადებული გადასახადის ცვალებადობა წლის განმავლობაში	2015 წელი	2014 წელი
წლის დასაწყისში - აქტივი (ვალდებულება)	(721,511)	(486,861)
ცვალებადობა წლის განმავლობაში - სარგებელი / (ხარჯი)	520,013	(234,650)
<b>წლის ბოლოს</b>	<b>(201,498)</b>	<b>(721,511)</b>

საშემოსავლო გადასახადის ხარჯები წლის განმავლობაში	2015 წელი	2014 წელი
კანონით გათვალისწინებული საშემოსავლო გადასახადი	-	(76,349)
ცვლილება გადავადებულ გადასახადში	568,036	(234,650)
<b>სულ მოგების გადასახადის (ხარჯი) / სარგებელი წლის განმავლობაში</b>	<b>568,036</b>	<b>(311,000)</b>

შპს „ნიკორა ტრედი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2015 წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ლარებში

13. დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯები

	2015 წლის 31 დეკემბერი	2014 წლის 31 დეკემბერი
თანამშრომელთა ხელფასი	10,392,562	6,044,244
იჯარა	9,643,249	4,192,814
კომუნალური ხარჯები	3,430,753	1,701,887
ცვეთის ხარჯი	2,985,098	1,384,747
მარაგების დანაკარგის ხარჯები	2,655,118	1,596,115
შეფუთვის ხარჯები	1,168,255	561,789
მარკეტინგის ხარჯები	510,475	251,112
<b>სულ დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯები</b>	<b>30,785,510</b>	<b>15,732,708</b>

14. ადმინისტრაციული ხარჯები

	2015 წლის 31 დეკემბერი	2014 წლის 31 დეკემბერი
თანამშრომელთა ხელფასი	3,816,938	1,800,088
კომუნალური ხარჯები	1,326,459	1,022,188
ცვეთა და ამორტიზაცია	1,183,711	638,916
ოფისის ხარჯები	859,312	421,490
ტრანსპორტირება	590,779	261,386
საბანკო მომსახურება	587,917	347,993
საკონსულტაციო ხარჯები	469,440	180,076
იჯარა	397,563	30,474
რემონტი	384,426	227,711
მივლინების ხარჯები	213,293	36,631
ქონების გადასახადი	138,215	60,460
სხვა	636,018	508,803
<b>სულ ადმინისტრაციული ხარჯები</b>	<b>10,604,071</b>	<b>5,536,216</b>

15. სხვა ფინანსური ხარჯები

	2015 წლის 31 დეკემბერი	2014 წლის 31 დეკემბერი
საკურსო სხვაობის მოგება/(ზარალი):		
სესხებსა და მოთხოვნებზე	187,607	44,321
ფინანსური ვალდებულებები ამორტიზირებული	2,580,001	206,678
ღირებულებით დათვლილი		
<b>სულ სხვა ფინანსური ხარჯები</b>	<b>2,767,608</b>	<b>250,999</b>

16. დაკავშირებული მხარეები

ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ჯგუფი დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. დაკავშირებული მხარის ნაშთების შესახებ დეტალები საანგარიშო პერიოდის მონაცემებით, ასევე ამ მხარეებთან გარიგებების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

შპს „ნიკორა ტრედი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2015 წლისათვის

დანხები წარმოდგენილია ლარებში

დაკავშირებული მხარეების ნაშთები 31-12-2015	დებიტორული დავალიანება	გადასახდელი ხელფასი	კრედიტორული დავალიანება	აღებული სესხები
აქციონერი	64	-	-	-
საერთო კონტროლის მოქცეული ორგანიზაციები ქვეშ	503,315	-	3,571,293	1,200,000
ტოპ მენეჯმენტი	-	-	-	-
სულ წლის ბოლოს – 31-12-2015	503,379	-	3,571,293	1,200,000

გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან 2015 წლის განმავლობაში	გაყიდვები	შესყიდვები	საპროცენტო ხარჯები	სახელფასო ხარჯები
აქციონერები	17,380	2,006,279	-	-
საერთო კონტროლის მოქცეული ორგანიზაციები ქვეშ	2,003,612	55,345,141	18,345	-
ტოპ მენეჯმენტი	30,316	-	-	-
სულ წლის განმავლობაში	2,051,308	57,351,420	18,345	-

დაკავშირებული მხარეების ნაშთები 31-12-2014	დებიტორული დავალიანება	გადასახდელი ხელფასი	კრედიტორული დავალიანება	აღებული სესხები
აქციონერი	-	-	585,771	-
საერთო კონტროლის მოქცეული ორგანიზაციები ქვეშ	31,722	-	1,209,659	-
ტოპ მენეჯმენტი	-	9,126	-	-
სულ წლის ბოლოს – 31-12-2014	31,722	9,126	1,795,430	-

გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან 2014 წლის განმავლობაში	გაყიდვები	შესყიდვები	საპროცენტო ხარჯები	სახელფასო ხარჯები
აქციონერები	3,124,694	26,315,218	-	-
საერთო კონტროლის მოქცეული ორგანიზაციები ქვეშ	437,194	11,645,614	-	-
ტოპ მენეჯმენტი	-	-	-	277,500
სულ წლის განმავლობაში	3,561,888	37,960,831	-	277,500

17. პირობითი ვალდებულებები, ვალდებულებები და საოპერაციო რისკები

17.1 სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი ჩნდება მაშინ, როდესაც მომავალი კომერციული გარიგებები ან აღიარებული აქტივები ან ვალდებულებები დენომინირებულია ისეთ ვალუტაში, რომელიც არ არის იურიდიული პირის ვალუტა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები საბაზისო ღირებულებით, რომელიც დაჯგუფებულია ვალუტის მიხედვით.

შპს „ნიკორა ტრედი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2015 წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ლარებში

2015 წლის 31 დეკემბერი

	დენომინირებული ლარში	დენომინირებული აშშ დოლარში გამოხატული ლარში	სულ გამოხატული ლარში
ფინანსური აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი	1,098,137	-	1,098,137
დებიტორული დავალიანება	2,026,496	-	2,026,496
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>3,124,633</b>	<b>-</b>	<b>3,124,633</b>
ფინანსური ვალდებულებები			
საბანკო ოვერდრაფტი	1,507,199	-	1,507,199
მიმწოდებლებთან ანგარიშსწორების ანგარიში	23,992,778	-	23,992,778
მიმდინარე სესხები და გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	2,800,745	7,027,684	9,828,429
გრძელვადიანი სესხები	2,736,184	26,369,381	29,105,564
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>31,036,906</b>	<b>33,397,065</b>	<b>63,433,970</b>
სავალუტო პოზიცია	(27,912,273)	(33,397,065)	(61,309,337)

როგორც ცხრილიდან ჩანს, ჯგუფი უკიდურესად დაუცველია აშშ დოლარის კურსის ცვლილებებისადმი, აშშ დოლარში დენომინირებული სესხების გამო.

ვალუტის კურსის ცვლილებები:	გავლენა	
	დაბეგვრამდე მოგებიაზე	საკუთარ კაპიტალზე
ლარი 20%-ით სუსტდება აშშ დოლართან მიმართებაში	(6,679,413)	(5,677,501)
ლარი 10%-ით სუსტდება აშშ დოლართან მიმართებაში	(3,339,707)	(2,838,751)
ლარი 20%-ით მყარდება აშშ დოლართან მიმართებაში	6,679,413	5,677,501
ლარი 10%-ით მყარდება აშშ დოლართან მიმართებაში	3,339,707	2,838,751

17.2 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ შესაძლოა განიცადოს სირთულეები თანხების მოძიების თვალსაზრისით, ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფულადი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების გადახდის თარიღები არ ემთხვევა. ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის არაწარმოებული აქტივებისა და ვალდებულებების გადახდის თარიღის ანალიზი.

2015 წლის 31 დეკემბერი	ერთ წლამდე	1-დან 3 წლამდე	3-დან 5 წლამდე	5 წელზე ზევით	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული	1,103,674	-	-	-	1,103,674
დებიტორული დავალიანება	2,637,981	-	-	-	2,637,981
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>3,741,655</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>3,741,655</b>
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	24,996,306	-	-	-	24,996,306
სესხები (ოვერდრაფტის ჩათვლით)	11,335,628	6,080,207	23,025,357	-	40,441,192
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>36,331,934</b>	<b>6,080,207</b>	<b>23,025,357</b>	<b>-</b>	<b>65,437,498</b>
ლიკვიდურობის დისბალანსი	(32,590,279)	(6,080,207)	(23,025,357)	-	(61,695,843)
დაგროვილი ლიკვიდურობის დისბალანსი	(32,590,279)	(38,670,487)	(61,695,843)	(61,695,843)	

## შპს „ნიკორა ტრიდი“

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2015 წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ლარებში

როგორც ზემოთწარმოდგენილი რაოდენობრივი ანალიზი აჩვენებს ჯგუფს საკმაოდ დიდი ნეგატიური ლიკვიდურობის სხვაობა აქვს როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ესეთი ანალიზი აჩვენებს მხოლოდ დროის ერთ კონკრეტულ მომენტში, საანგარიშგებო თარიღში, არსებულ მდგომარეობას და არ იძლევა საშუალებას დავინახოთ მომავალი გაყიდვებიდან მოსალოდნელი ფულადი შემოსავლები, რაც გამოყენებული იქნება ფულადი ვალდებულებების დასაფარად, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ჯგუფის ლიკვიდურობის მდგომარეობა არც ისეთი კრიტიკულია, როგორც ცხრილში ჩანს. მითუმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფის საოპერაციო ფულადი ნაკადები, რაც კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში ჩანს, ყოველთვის დადებითი იყო.

#### 17.3 საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, რომ ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის მერყეობა უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მის ფინანსურ მაჩვენებლებზე. ჯგუფის საბანკო სესხების საპროცენტო განაკვეთები დაკავშირებულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთებთან (LIBOR-თან დაკავშირებული სესხები) და, იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფს საკმაოდ დიდი სესხები აქვს, ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილებას შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა ქონდეს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე, მის მომგებიანობაზე და ფულად ნაკადებზე.

#### 17.4 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და გამოიწვევს ფინანსური ზარალის დადგომას მეორე მხარისთვის. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ფულადი სახსრებიდან და მათი ეკვივალენტებიდან (სალაროში არსებული ნაღდი ფულის გარდა), ასევე კლიენტებისთვის დაუფარავი დებიტორული დავალიანებიდან და აქედან გამომდინარე, მაქსიმალური საკრედიტო რისკი არის ამ მუხლების საბალანსო ღირებულება, რაც 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უდრის 2,920,455 ლარს (2014 წ: 423,773 ლარი).

ჯგუფის ფულადი სახსრები თავსდება ღრმად საიმედო ფინანსურ დაწესებულებებში და ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მის ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს საკრედიტო რისკი არ ემუქრება.

ჯგუფის დებიტორული დავალიანება ძირითადი მუხლია, რომელიც იწვევს საკრედიტო რისკს. საკუთარ უმსვილეს დებიტორებთან ჯგუფს აქვს კარგი ხანგრძლივი ურთიერთობა და ხელმძღვანელობას არ აქვს მიზეზი იფიქროს, რომ არ მოხდება ამ დებიტორული დავალიანების დაფარვა ჩვეულებრივ სავაჭრო პირობებში. ასეთი მოთხოვნები 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს მთლიანი დებიტორული დავალიანების დაახლოებით 95%-ს. ჯგუფის ხელმძღვანელობას სწამს, რომ საანგარიშო თარიღისათვის არსებული მოთხოვნები სრულად ამოღებადია.

#### 18. უწყვეტ საქმიანობასთან დაკავშირებული მოსაზრებები (საქმიანობის უწყვეტობის პრინციპი)

თითოეული საანგარიშო პერიოდის დასასრულს, ჯგუფის ხელმძღვანელობა განიხილავს ჯგუფის საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობას, რათა საქმიანობის უწყვეტობის პრინციპზე დაფუძნებული ფინანსური ანგარიშგებები შეესაბამებოდეს გარემოებებს. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ, მიუხედავად არსებული სავალუტო, ლიკვიდურობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკებისა, რომლებიც ზემოთ იყო განხილული, საანგარიშო თარიღისთვის ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობას საფრთხე არ ემუქრება და არც მენეჯმენტი გეგმავს ჯგუფის ლიკვიდაციას ან საქმიანობის მასშტაბის მნიშვნელოვნად შემცირებას. პირიქით – ჯგუფი ფართოვდება, იძენს ახალ სავაჭრო ქსელებს, ახორციელებს ინვესტიციებს ძირითად საშუალებებში და გეგმავს რეალიზაციისა და მომგებიანობის ზრდას.

შპს „ნიკორა ტრეიდი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2015 წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ლარებში

---

19. საანგარიშო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები

19.1 ობლიგაციების გამოშვება

2016 წლის 11 მაისს საქართველოს საინვესტიციო ბანკმა გალთ & თაგარტმა კომპანიის 5 მილიონი დოლარის ღირებულების ობლიგაციები განათავსა საქართველოს საფონდო ბირჟაზე. ობლიგაციების ვადა 2 წელია და წლიურად 11% ერიცხება. სარგებლის პროცენტის გადახდა წელიწადში 2-ჯერ განხორციელდება.

19.2 სხვა მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ

ადგილი არ ჰქონია საბალანსო უწყისის თარიღის შემდეგ განვითარებულ ისეთ მოვლენებს, რომელიც მოითხოვს ამ ფინანსურ ანგარიშგებებში დამატებით კორექტირებებს ან ინფორმაციის გამჟღავნებას.

\*\*\*\*\*